

Sofiko Chumburidze

სოფიკო ჭუმბურიძე

Akaki Tsereteli State University

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgia, Kutaisi

საქართველო, ქუთაისი

Time and Space in the Émigré Writings of Shalva Amirejibi

(1925-1943)

დროისა და სივრცის საკითხი შალვა ამირეჯიბის ემიგრანტულ წერილებში

(1925-1943)

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10924>

The period of emigration often becomes a turning point in a writer's life and creative work, as it separates them from their native cultural and linguistic space. Shalva Amirejibi's letters written during his years in exile (1925–1943) represent not only documentary material reflecting socio-political ideas but also aesthetically crafted narratives. These writings can be productively examined through the lens of the chronotope, a concept developed by Mikhail Bakhtin, which refers to the unity of time and space within a literary text.

The present article aims to analyze the temporal-spatial structures in Shalva Amirejibi's writings from 1925 to 1943, and to highlight the function of the chronotope as a form of expressing identity, memory, and cultural trauma.

Keywords: Shalva Amirejibi, chronotope, emigration, émigré letters

საკვანძო სიტყვები: შალვა ამირეჯიბი, ქრონოტოპი, ემიგრაცია, ემიგრანტული წერილები

შალვა ამირეჯიბის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ ისტორიაში. ეს განაპირობა მისმა აქტიურმა მოღვაწეობამ მწერლობასა და პოლიტიკაში. მან როგორც ემიგრანტული მწერლობის წარმომადგენელმა თავის პუბლიცისტურ წერილებში ზუსტად ასახა ის პროცესები, რაც მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ ისტორიაში ხდებოდა. ამიტომ, შალვა ამირეჯიბის ემიგრანტული ნარკვევები და წერილები წარმოადგენს მნიშვნელოვან დოკუმენტურ და ლიტერატურულ წყაროს. ეს ტექსტები (1925-1943) გვიჩვენებს ემიგრანტი ინტელექტუალის ცნობიერებას, მის შეხედულებებს საქართველოს წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. შალვა ამირეჯიბის ლიტერატურული მემკვიდრეობა ორ ტომად გამოიყოფა ლიტერატურის მუზეუმის მიერ.

ამირეჯიბის ტექსტების ანალიზში განსაკუთრებულად საინტერესოა დროისა და სივრცის (ქრონოტოპის) პრობლემა. ემიგრაციაში მყოფი ავტორი წარსულსა და სამშობლოს სივრცეს ახლებურად აღიქვამს.

შალვა ამირეჯიბის შემოქმედება მნიშვნელოვანია, რადგან ის არის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითი, თუ როგორ ინარჩუნებდა ქართველი ინტელიგენცია ეროვნული იდენტობისა და ისტორიულ მემკვიდრეობას ემიგრაციაში.

შალვა ამირეჯიბის ორტომეულის მეორე ტომი „ემიგრაციაში“ იწყება ავტობიოგრაფიით, სადაც ავტორის დაბადების ადგილის აღწერა უკვე ქმნის ისტორიულ-ფილოსოფიურ კონტექსტს: „მე დავიბადე სოფელ ხურვალეთში, რომელიც ქალაქ გორზედ ოცი ვერსის მანძილზედა სდევს და რომელიც ტირიფონას გადმოსცქერის. ტირიფონას ველი ერთი უდიდესთაგანია არა მარტო ქართლის ველებში, არამედ მთელ საქართველოში“ (ამირეჯიბი, 1998, გვ.5).

სივრცე აქ არის არა მხოლოდ გეოგრაფიული რეალობა, არამედ ისტორიის მატარებელი ადგილი: ავტორი იხსენებს, რომ ამ ველზე „აღა-მაჰმად-ხანმა გამოიარა“. „აღა-მახმად-ხანის შემოსევის წინ აქ გამოიარა ირაკლი მეფემ, მრავალ-რიცხოვანი ცხენოსანი ამალით და ეს იყო სახელოვანი მეფის უკანასკნელი სამხედრო ვარჯიშობა“ (ამირეჯიბი, 1998, გვ.5). ავტორის პირადი ბიოგრაფია საერთო ისტორიასთან იკვეთება და ქრონოტოპი იქმნება, რომელიც აერთიანებს ინდივიდუალურ და ეროვნულ გამოცდილებას. ამ კონტექსტში დრო გარდაიქმნება „დაკარგული სამშობლოს“ სიმბოლოდ. ემიგრანტი ავტორისთვის წარსული დრო და ბავშვობის მოგონებები გაცილებით „რეალურია“, ვიდრე აწმყო უცხოეთში. სწორედ ეს „დროის გადახრა“ ქმნის ემიგრანტული ქრონოტოპის მთავარ ღერძს. შალვა ამირეჯიბი მოგონებებში განსაკუთრებულად იხსენებს ბუხარსა და მის წარწერას:

*„სტუმრისთვის ვსტირი მე,
გათბი შენი ჭირი მე“* (ამირეჯიბი, 1998, გვ. 5).

ამ ფრაზას ემიგრაციაში მყოფი ავტორი არა მხოლოდ, როგორც ბავშვობის მოგონებას იხსენებს, არამედ, როგორც კულტურულ სიმბოლოს. ბუხარი, როგორც შინაურობისა და სითბოს ცენტრი, ემიგრაციაში ყოფნისას გარდაიქმნება დაკარგული სივრცის ნოსტალგიურ ხატად. ზემოთ მოხმობილი წარწერა ხაზს უსვამს სტუმართმოყვარეობის ქართულ ტრადიციას, რომელიც შალვა ამირეჯიბის ცნობიერებაში ერთდროულად არის პირადი მოგონება და ეროვნული იდენტობის საყრდენი. სწორედ აქ ხდება დროისა და სივრცის გადაკვეთა: ბავშვობის კონკრეტული გამოცდილება ემიგრაციაში გარდაიქმნება კულტურულ-ისტორიულ სიმბოლოდ.

შალვა ამირეჯიბის მიერ ხურვალეთის, ტირიფონას ველისა და ბუხრის გახსენება აჩვენებს, რომ სივრცე ემიგრანტულ ტექსტებში გარდაიქმნება სულიერ საყრდენად. სამშობლოს სივრცე არსებობს როგორც მეხსიერებაში, ისე ემოციურ გამოცდილებაში, რაც აძლევს მას უნიკალურ მნიშვნელობას.

ამირეჯიბის ტექსტებში **დრო** წარმოჩენილია როგორც დაკარგული სამშობლოს ისტორია და ნოსტალგიის წყარო, ხოლო **სივრცე** — როგორც მეხსიერებაში შემონახული სულიერი გარემო, რომელიც ემიგრანტის იდენტობას განსაზღვრავს.

კრიტიკოსი ავთანდილ ნიკოლეიშვილი აღნიშნავს, რომ სამშობლოს მოწყვეტილი პოეტი მისი მონატრებით გაჩენილ დარდსა და კაემანს მოგონებებით იქარვებს. ამ მოგონებების უმთავრესი საგანია „როდესაც ისა და ქართველი ხალხის ეროვნული გმირის - ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით ამხედრებული შეფიცულები წითელი რუსეთის მიერ დამონებული სამშობლოს განთავისუფლებისთვის ემზადებოდნენ“:

*„მიყვარს შენს ტყეთა შეფიცული ღამის მთევარი
და პაემანი ბრძოლებისა, დიადი ჩვილი,
თავისუფლების როს ლანდისა უქმად მდევარი
ჩვენ გვატარებდა უკმეხ შუბლით ჩოლოყაშვილი
და ჩვენთა ცხენთა ნატერფალებს მტერი თან სდევდა
და ლტოლვისა გზასა გვიგრძელებდა მარცხი და სევდა“.*
(ნიკოლეიშვილი, 2007, გვ. 269)

როგორც ვხედავთ, ავტორის შემოქმედებიდან ირკვევა რომ მას აქვს შიში სამშობლოს ვერ ნახვისა. შალვა ამირეჯიბის ემიგრანტულ წერილებში მუდმივად იკვეთება სამშობლოს სივრცე –

სოფელი, ველი, ბუხარი, მთა და მდინარე. ეს ადგილები უცხოეთში ყოფნისას არა მხოლოდ „გეოგრაფიული მოგონებებია,“ არამედ სულიერი სამშობლოს არქექტიპები.

ავტორი იხსენებს 1909 წელს ვენიდან დაბრუნებისას, სადაც ორი წელი გაატარა, ამირეჯიბი-სათვის თბილისი უცხო და „მინგრეულ-მონგრეული“ ჩანს ევროპულ ქალაქებთან შედარებით:

ჩვენი დედაქალაქის შემხედავი პირველი კვირეებში თავს დარცხვნილადაც კი ვგრძნობდი დარცხვნილად დავიარებოდი ქუჩებში (ამირეჯიბი, 1998, გვ.8).

თუმცა იგი ამატებს:

„ყოველი ქალაქი ქალსა ჰგავს, რომელსაც საკუთარი თილისმა აქვს ტფილისის ნამდვილმა და თავისებურმა სილამაზემ თანდათან ისევ მომინადირა და ტავის უცვალეებელ ემში გამხვია“ (ამირეჯიბი, 1998, გვ. 8).

აქ ქრონოტოპი ორმაგია: ერთი მხრივ, დრო – დაბრუნების მომენტი — არის მტკივნეული შეჯახება „პერიფერიულ“ და „ცივილიზებულ“ სივრცეებს შორის; მეორე მხრივ, ქალაქი პერსონიფიცირებულია, ის ქალად იქცევა, რაც ამტკიცებს სივრცის ემოციურ-ესთეტიკურ აღქმას.

ამირეჯიბის ემიგრანტულ წერილებში შემდეგი მნიშვნელოვანი თემა მისი მწერლად ქცევის გზაა. „დაბეჭდილ“ ავტორად გახდომის შესაძლებლობა მას აძლევს შანსს ევროპული კულტურული სივრცე ქართულ იდენტობასთან შეუსაბამოს.

შალვა ამირეჯიბი ემიგრაციაში საქართველოს ისტორიაში არსებულ დიდ ეპოქებს იხსენიებს. დავით აღმაშენებელი და თამარი მისთვის სახელმწიფოს ძლიერების სიმბოლოებია. შალვა ამირეჯიბი ემიგრანტულ წერილებში ყურადღებას ამახვილებს XIX საუკუნის ქართველთა ევროპულ კონტაქტებს. სტატია „ქართველები ევროპაში XIX საუკუნეში“ უკვე სრულიად ახალ ქრონოტოპს ხსნის: აქ ქართულ ისტორიულ ფიგურებთან ერთად ევროპელი ინტელექტუალების ყოფნაც გაერთიანებულია. იგი განიხილავს ბარონესა ბერტა ფონ ზუტნერს, მის ურთიერთობას ქართველებთან და ირაკლი ბატონიშვილთან შეხვედრას. ამგვარად, საქართველო მისი ტექსტებით ევროპული კულტურის რუკაზე განთავსდება.

ამასთანავე, ამირეჯიბი არ ივიწყებს ქართულ მწერლობას. გრიგოლ ორბელიანის სადღეგრძელოში ხედავს საქართველოს დიდების სურათს, ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისაში“ – ნაციონალიზმის პრობლემებზე ფიქრის საფუძველს, ხოლო ილია ჭავჭავაძის „კაცი და ადამიანი“ – ქართული აზროვნების უნარის გამოვლენას.

ამირეჯიბის აზრით, აკაკი წერეთელი არის სრული ვიზიონერი, რომელიც საქართველოს ერთდროულად ხედავს წარსულში, აწმყოსა და მომავალში. აქ დროის განზომილება გარდაიქმნება უწყვეტ ნაკადად, სადაც ისტორია, რეალობა და იდეალი თანაარსებობენ.

ვაჟა-ფშაველა კი ამ ქრონოტოპის „დაგვირგვინებაა.“ ამირეჯიბის სიტყვებით, მისი ძალა მდგომარეობს: „*სიტყვაში, სიტყვის გასაოცარ ზომაში, ზომის მოულოდნელ უბრალოებაში, უბრალოების მშვენიერებაში, რომელიც წარუშლოელ შთაბეჭდილებას და ამოუფხვრელ კვალს სტოვებს*“ (ამირეჯიბი, 1998, გვ. 38).

ვაჟას სიტყვაში სივრცე და დრო თითქოს შეკუმშულია: უბრალოება და სიღრმე ერთდროულად ქმნიან მარადიულობას.

წარსულის დიდებასთან ერთად შალვა ამირეჯიბს განსაკუთრებულად აძლევებს 1918 წლის 26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება: „*26 მაისის დილას, 1918 წელს, მეც ისე ვღელავდი, როგორც ალბათ ბევრი სხვა ქართველიც და ადრე ავდექი. ხუმრობა საქმე არ იყო. ას ჩვიდმეტი წლის მონობის შემდეგ საქართველო თავის დამოუკიდებლობას აცხადებდა*“ (ამირეჯიბი 1998, გვ. 118). აქ დროის და სივრცის განზომილება ერთიანდება: შუა საუკუნეების დიდება და ახალი რესპუბლიკის გამოცხადება ერთიან ეროვნულ ქრონოტოპს ქმნის. 26 მაისის თემას ავტორი წერილებში ხშირად ემოციურად განიხილავს. ის წერს სეიმის სხდომაზეც, რომელიც წინ უძღოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. ამ სხდომას ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლა უნდა ემცნო საზოგადოებისთვის. „*ამ დღეს, როგორც შემდეგ პარლამენტის პირველ სხდომაზედ ჟორდანიაშვილს ალნიშნა, ჩვენ ვიყავით მოწმე, როგორ მოკვდა ერთსა და იმავე დარბაზში ერთი სახელმ-*

წიფო და დაიბადა – მეორე. პირველი ამირ-კავკასიის რესპუბლიკა იყო, მეორე-საქართველო!“ (ამირეჯიბი 1998, გვ. 121).

პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი აანალიზებს რა შალვა ამირეჯიბის წერილებს, დაასკვნის, რომ შალვა ამირეჯიბს ღრმად სწამდა, რომ ქვეყნისთვის სახელმწიფოებრივი არსებობის ყველაზე მეტად გამართლებული ფორმა სამეფო დინასტიის აღდგენა იყო. მას მიაჩნდა, რომ

„მხოლოდ სამეფოს აღდგენას შეუძლიან საქართველოს რუსეთისაგან ჩამოშორება. სწორედ სამეფო ინსტიტუტს შეუძლიან მათი დამოუკიდებლობის დაცვა, როგორც ეს ოცი საუკუნის განმავლობაში იყო“. იმხანად ამ აზრზე არა მარტო ამირეჯიბი იყო, არამედ ქართველ პოლიტიკოსთა და მამულიშვილთა სხვა წარმომადგენლებიც. „მათ შორის იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილიც, რომელსაც ინგლისური გაზეთი „თაიმსი“ შამილის შემდეგ კავკასიაში ყველაზე პოპულარულ პიროვნებად აღიარებდა“ (ნიკოლეიშვილი, 2007. გვ. 231).

შალვა ამირეჯიბს უფლება ჰქონდა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელი მოეწერა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. აი, როგორ განმარტავს მწერალი ამ ფაქტს:

„როდესაც საქართველოს ეროვნული საბჭოს მდივანმა ი. ზურაბიშვილმა უკანასკნელად დაიძახა: ბ. ეროვნულ საბჭოს წევრო, ვის არ მოგიწერიათ კიდევ აქტისთვის ხელიო, მე იქ ვიდექი, მაგრამ არ მივედი მასთან და საქართველოს რესპუბლიკად გამოცხადების აქტს ხელი არ მოვაწერე. მე არა მწამს, რომ რესპუბლიკა, რომ რესპუბლიკა საქართველოს მართლა მიანიჭებს დამოუკიდებლობას. საქართველო ორჯერ იყო რესპუბლიკა. ერთი-მეწმევიკური დაიღუპა. მეორემ-ბოლშევიკურმა საქართველო რუსეთს შეუერთა“ (ამირეჯიბი, 1998, გვ.163).

როგორც შალვა ამირეჯიბის პუბლიცისტური წერილებიდან ირკვევა, ის მწარედ აკრიტიკებს ბოლშევიზმს. მის ტექსტებში ბოლშევიკური მმართველობა წარმოჩენილია როგორც დროისა და სივრცის დამახინჯებული რეალობა, რომელიც არღვევს ეროვნულ ტრადიციებს, იდენტობასა და ქვეყნის დამოუკიდებლობას.

1918 წლის 26 მაისის თემის შემდეგ ამირეჯიბი დეტალურად ეხება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს: ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბრძოლას, აგვისტოს აჯანყებასა და 1924 წლის მოვლენებს უნდა აღინიშნოს რომ შალვა ამირეჯიბი 1924 წლის აჯანყების აქტიური მონაწილე იყო. „ის იყო აჯანყების მომზადებელი პარიტეტული კომიტეტის, იმავე ინტერპარტიული ანუ დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრი, რომელიც წყვეტდა აჯანყებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხს. კერძოდ, 1924 წლის 22 აგვისტოს სხდომაზე კ. ანდრონიკაშვილთან და მ. ჯავახიშვილთან ერთად სწორედ მისი ინიციატივით დანიშნულა შეიარაღებული აჯანყების დაწყების დღე“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, 1967. გვ. 199). მიუხედავად იმისა, რომ 1924 წლის აჯანყების მოვლენები ისე არ განვითარდა როგორც ჩაფიქრებული იყო, ამირეჯიბი თვლიდა, რომ ამ მოვლენამ გარდამტეხი როლი ითამაშა საქართველოს ისტორიაში. „აგვისტოს აჯანყებაში გაცოცხლდა საქართველო ქართული, საქართველო ტრადიციული და გრ. ორბელიანის სიტყვით რომ ვთქვათ, საქართველო – „მებრძოლი თავის ბედისა“ (ამირეჯიბი, 1998. გვ. 150).

შალვა ამირეჯიბს აჯანყების დამარცხების შემდეგ ქვეყნიდან გაქცევა მოუწია. ემიგრანტულ წერილებში ის იხსენიებს ემიგრაციის ქალაქებსაც – ხოფას საიდანაც ცხრა ქართველ ემიგრანტთან ერთად გამგზავრებულა გემით, სტამბოლს, ნეაპოლს. სწორედ ნეაპოლში მისცეს ლტოლვილებს გემიდან გადმოსვლის ნება პირველად. მკვლევარი ავთანდილ ნიკოლეიშვილი შენიშნავს, რომ ნეაპოლში გასეირნების ამბავი იმითაა საინტერესო, რომ ამირეჯიბის ცხოვრებაზე გვაწვდის საინტერესო ინფორმაციას, კერძოდ: „აგვისტოს დღეების შემდეგ, რომლის დროს საქართველოს ტყეებს საფუძვლიანად გავეცანი, ტფილისში დაბრუნებია და იქ მალეულობის შემდეგ აჭარის ტყეებში გამწარებული ხეტიალისა, მარადიდისა, ბოხჩასი, ართვინისა, ხოფასი და თვით სტამბულის შემდეგ, ნეაპოლის ნაპირი პირველი ადგილი იყო, სადაც მეცა და ყველამ ჩვენ პირველად ამოვისუნთქეთ თავისუფლად“ (ამირეჯიბი, 1998. გვ. 178). დამოწმებული ფრაგმენტიდან ვგებულობთ, რომ აჯან-

ყების დამარცხების შემდეგ ამირეჯიბი არა მარტო საქართველოს ადგილებს აფარებდა თავს, არამედ თურქეთშიც არალეგალურად იმყოფებოდა. ემიგრანტი ავტორი საცხოვრებლად საფრანგეთში, პარიზში დასახლდა. წერილებში ნახსენები ქალაქები არა მხოლოდ გეოგრაფიული გზაგასაყარია, არამედ უცხო სივრცეში დაკარგული ადამიანის ყოველდღიური ყოფის ქრონოტოპი.

ეს ეპიზოდები მისთვის მხოლოდ ისტორიული ფაქტები კი არაა, არამედ დროის და სივრცის ერთგვარი „მეორე სამშობლო“, რადგან თავად ემიგრაციაში მყოფიც კვლავ ფიქრებით საქართველოშია.

შალვა ამირეჯიბის ემიგრანტული წერილების გაანალიზება გვიჩვენებს, რომ მათში ქრონოტოპის საკითხი აქტუალურია. ემიგრანტი სხეულით უცხოეთშია, მაგრამ ცნობიერებით — სამშობლოში მიმდინარე მოვლენების ეპიცენტრში. მის პუბლიცისტურ წერილებში მუდმივად მეორდება თემები ქართველი მწერლებზე, ისტორიულ და პოლიტიკურ პირებზე, ეროვნულ იდეალებზე. შალვა ამირეჯიბის ტექსტები თანაბრად ასახავს როგორც კოლექტიური მემსიერების ტრავმას, ისე პირად ეგზისტენციალურ დაკარგულობას. შალვა ამირეჯიბის წერილებში დროს კონფლიქტი აქვს წარსულსა და აწმყოს შორის, ხოლო სივრცეს – სამშობლოსა და უცხოეთს შორის. ასე იქმნება ემიგრანტული ქრონოტოპი, რომელშიც ავტორი ცდილობს დიალოგი დაამყაროს დაკარგულ ადგილთან, დაკარგულ ეპოქასთან და დაკარგულ სამოქალაქო სულისკვეთებასთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

ამირეჯიბი, შ. (1998). წიგნი მეორე, თბილისი: „ქართული ლიტერატურის სახ. მუზეუმის გამომცემლობა „ლიტერატურის მატეანე“.

ნიკოლეიშვილი, ა. (2007). ქართული ემიგრანტული მწერლობა. ქუთაისი: „ქუთაისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, (1976). თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

References:

Amirejibi, Sh. (1998). Ts'igni meore. [Book Two]. Tbilisi: „kartuli lit'erat'uris sakh. muzeumis gamomtsemloba „lit'era-t'uris mat'eane“.

Nik'oleishvili, A. (2007). Kkartuli emigrant'uli mts'erloba. [Georgian Emigrant Writing]. Kutaisi: „Kutaisis universit'et'is gamomtsemloba“.

Sakartvelos ist'oriis nark'vevebi, t'. VII, (1976). [Essays on the History of Georgia, Vol. VII]. Tbilisi: „sabh'ota sakartvelo“.